

თეატრი



№ 40

საქართველო-კვირთა სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი.

№ 40

5 ლვინობისთვე

გაქოციება ყოველ კვირათათ

1886 წელსა.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა ერთის წლით..... 5 მან. ხსსუკარ წლით ... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კახტორასში არწრუხისკულ ქარვას. ფოთში ბ-ნი ბესარიან კალანდარესთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ასეილება: თბილისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპიროზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში კილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორრესპონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდებიან. რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარჩევით ყვინ დაწერილი.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ ვისრულობს. ყოველ წერილში აუცილებლად მოსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галлерей бив. Арцруни № 110.

ქართული თეატრი

კირას 5 ღვინობისთვეს

„ქართული დრამატულის საზოგადოების და სისაგან წარმოდგენილი იქნება არწრუხისკულ თეატრში:

I

გემელიანი დღე

კომედია სამს მოქმედებად, ასტროსკვის და სოლოვიოვისა.

II

ზინბაზი

კომედია ერთს მოქმედებად, ა. ცაგარდისა.

III

დიკრტი სმენტი

ლექსებისა და სცენების კითხვა. მოთამაშენი: ქქ. გაზინა, საფ. აბაშიძისა, ჩერქე-

ზიშვიდისა, მელიქოვისა; ბბ. აბაშიძე, აწურელი, ალექსე-სკე-მესხიევი, გუნია და სხვ.

დასაწყისი სწორეთ 7 1/2 საათზე.

ქართული თეატრი

წარსულს კირას ქართ. დრამ. საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იყო ავ. ცაგარელის 3 მოქმედებიანი კომედია—ფარსი სახუმ და მეოთხე მოქმედება დრამიდამ თამარ ბატონიშვიდი, ბ-ნი კოტე ყიფიანის მონაწილეობით. ავ. ცაგარელი და მისი პიესები საკმაოდ ცნობილია ჩვენს მწერლობაში და საზოგადოებაში. სახუმ არის უკანასკნელი პიესა, რომელშიაც ნათლად მოჩანს ყველა ნაკლი და ღირსება პატივცემულის დრამატურისა. როგორც კომედია, სახუმ სრული არ არის, ეს ავტორს ჩვენზე კარგათ უგრძენია და მაგიტიომაც კომედია-ფარსად მო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნათლავს თავისი თხზულება. როგორც წინეთ
 ესტკეით ხსნუმა უკანასკნელი ნაწარმოებია ბ-ნი ავ.
 ცაგარელისა და, ვგონებთ, შეცდომა არ იქნება ესტკეათ,
 რომ ამ პიესის შემდეგ შესაძლოა პატივცემული დრამა-
 მატურლი დაადგეს სულ ახალ გზას, ესე იგი, ავტობუ-
 ლობა ფერი, კილო, დი მანერაც შეუცვალოს თავის
 აწანდელ და მომავალ ნაწარმოებთ. ეს მით უფრო
 საფიქრებელი არის და მოსალოდნელიც, რომ ავ.
 ცაგარელმა ხსნუმით თითქმის დაასრულა პიესების ტიპი,
 იმიოთანა როგორც მაგალითად არის თვითონ ხსნუმა,
 ხათაზადა სუნდუკიანცისა და სხვანი.

წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა, ჭანსაკუთრე-
 ბით კარგათ შეასრულეს თავიანთი როლები ნ. გა-
 ბუნია—ცაგარლისამ, მ. საფაროვ-აბაშიძისამ, ვ. აბა-
 შიძემ და კოტე ყიფიანმა. არ იყო ურიგო აგრეთვე
 ივ. ცაგარელი, ამ ახალგაზდა არტისტს, თუ შრომას
 არ დაინარებს, თამამად შეუძლიან თავის ამპლუად
 აირჩიოს ბებერი რეზონიორის როლები. გაბედვით და
 ალაგ-ალაგ ცოდნითა თამაშობდა თავის როლს ლ.
 ჩერქეზიშვილისა. მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე
 ვ. მელიქოვისა, ვ. მესხიფი და მ. მძინაროვისა—ამათ
 წყალობით პიესის ანსამბლი, მომქედნი პირთ ურთ-
 ვრთი თანხმობა, საუცხოვოთ მიდოდა... კ. მაქ-
 სიმიდეს ხანდისხან გლენხური კილოსათვის რომ არ
 ელალატნა, ცუდს ვერაფერს ვიტყვით მის თამაშობაზე.
 ხალხი საკმაოდ დაესწრო, მაგრამ საყურდლებო ის
 არის, რომ ჩვენი ძალა-წოდების საზოგადოების ჭა-
 ქანიც არ იყო თეატრში. რა მიზეზია? უფულობა?
 არა ვგვგონია...

ქართულ თეატრში დღეს წარმოდგენილი იქმნება
 ბუნაქი და სამ მოქმედებიანი კომედია სოლოვი-
 თისა და ოინაზი ვოდვეილი ავ. ცაგარელისა.

ვალიკო—ი

ფელეტონი
ლექსური სივლირა
 შეთე და ნაიბი.


მზე ჩამავადი დადესტნის
 მთებს სხავეს ანაცვალებდა,
 ჭკრდა ნიაკი და შორით
 მდინარე მოკვალალებდა;
 დიდობისა ნაიბის
 ცოლი მას გადასტკრდა,
 ხან ეძლეოდა მწარე ფიქრს,
 ხან გულ-მომკვლელად მღერდა:

„გუშინ ძვან მოხდა მიწისა,
 მთებმა გუგუნნი შექქნესო:
 ამაბენ, თურმე ნაიბი
 შესტაკება შეთესო!
 შებმა ჩემი აფთარბი
 თუშის უშიშარ ღამისაო
 და ღუდა-მიწა შეუქმნეს
 მათს თაგ-განწირულ ომსაო.
 შეურიღან ორი ვაჟ-ვაჟი,
 შეჭხლია ფოლად ვაჟიო
 და აგრძნებულა მათ ჩხუბუდ
 ომის აღმუში მთაშიო.
 დღემდისაც ისმის ყოველ მხრით
 მწარე გუგუნნი მთებისო
 და მოსჩანს ელვად ზეცაზედ
 შუქი იმთის ხმლებსო!..
 შეჩრდი, შეთეე შეჩრდი!
 გებრალაბადეს ნაიბი!..
 ნუ ცხარაბ შენცა, ნაიბო,
 დაწუნარდი, გული დაიბი!..
 შეთე ღამისა გაგს, ნაიბო,
 ველში საამრად გასულს!
 აგიყვანს, კლდეზე მიგანდის,
 დაგაღვეინებს წამს სულს!
 შეთეე! ვეფხვსა გაგს ნაიბიც,
 გულ-გახელებულს, ფე-ნამალს!
 ისკუპებს, ხანჯალს მკედში გკრავს,
 ვერც თვალს მოასწრებ, ვერც ხმალს!..
 ცხელი.

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

წერილი რედაქტორთან

მ. ხ. ბ. რედაქტორო! გიტყვებით,—ჩემი აწინ-
 დელი მდგომარეობა აუტანელია: ჟამთა-ვითარებამ
 მე მომწყვიტა იმ წრეს, იმ ნიადაგს, რომლის მუშა-
 კაცაც მე სიყმაწვილით ვამზადებდი ჩემს თავს. საყვე-
 ლურს და ვისი ბრალიას გამოკვლევებს ეხლა ვერ
 შეუდგებით. ფაქტი ფაქტად რჩება და ყველასათვის
 ცხადია, რომ მე დღეს იძულებული ვარ სხვა წრე-
 ში და სხვა ნიადაგზედ ვიმუშავო. მაშასადამე, ეს
 ისარიც უცხო ბანაკილამ უნდა მეტყუორცნა ჩემი მე-
 ტოქესათვის, მაგრამ განსხვავებული შემთხვევა მი-
 ძულებს ერთს წამს შემინიხნოთ. საკამათო საგანად



მე და ჩემს მოწინააღმდეგეთ, როგორც მოგვხსენებათ, გაგვიხდა უკვდავი შოთას ქმნილების ერთი ალაგი. რუსული გაზეთის მკითხველებისათვის არც იმდენად საინტერესოა ეს საგანი, არც მოსახსენებელია ამ საგანზედ ბრძოლა იმ განსხვავებული იარაღით, რომელიც მე და ჩემს მეტოქეთ ზელთ გვიპყრია და, ლეთის წინიშე, კიდევ მეთაკილება, რომ ჩვენი სისულელე ამხედ მეჯალ უკნოთ შევაცუობინო. ამისათვის განმეორებით გთხოვთ ყოველივე გრძობა და ანგარიში ჩემდამი დასძლიოთ და ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გამოველაპარაკო ჩემს უტნობს, მაგრამ მეტად ჭინჭყლიანს და თავხედი სიამაყით თავგამოდებულს მეტოქეს ისევ და ისევ შოთას «ხელობის» გამო. პირობას ესდებ მთელი მკითხველი საზოგადოების წინაშე, რომ ამის მეტად არ შეგაწუხოთ ჩემი წერილებით.

ჩემის ფიქრით, ვაჟ-კაცი მარტო ის არ არის, ვინც თავის მეტოქეზე გაიმარჯვებს; არა ნაკლები ვაჟ-კაცი არც ის არის, მეტოქეს გავცლება და თავს სამარცხვინო დამარცხებისაგან დაიხსნის. ამაზედ თვით შოთა ჰემოწმება: «საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კაცისა მამაცისაგან!» ეხლანდელდებს სჩანს, როგორც სხვაფრივაც, ისე ამ შემთხვევაშიაც ჩვენის დიდებულის პოეტის მცნება და გვეიწყებია. იმ წერილის შემდეგ, რომელიც მე «ნოვოე ობოზრენიაში» ვუძღვენი ბ. ან. ფურცელაძის კრიტიკულს სიბრძნეს და მისი მეტოქის არა ნაკლებ ღრმა მოსაზრებას, მგონია, უკეთესს ვერას მოისაზრებდნენ, რომ ენა მოეკვნიტათ და ჩაჩუმებულიყვნენ. როდესაც ვსწერდი, მაშინაც ვგრძობდდი და ეხლაც ვაღიარებ, რომ მე ან. ფურცელაძეს და მის მოწინააღმდეგეს მკაცრად მოვეყარი, მაგრამ ვანა ამისათვის გამამტყუნებს ვინმე? ყოველს კაცს აქვს ის წმიდა წმიდათა, რომლის შემბლაღესაც ის გულგრილად ვერ მოექცევა. თვით ქრისტემ ჯოხით გამოკეცა იერუსალიმის ტაძრის ეზოდამ ზარაფნი და მეტრედენი. არიან იმისთანა სქელ ტყავში გახვეული ვაჟ-ბატონებიც, რომელზედაც ცხელი მათრახიც არ მოქმედობს, თორემ დარბაისლური მსჯელობით და ხმელი ლოგიკით ხომ სულ ვერას გააწყობ. დასამტკიცებლად ამისა გთხოვთ გადიკითხოთ «თეატრის» პირველი წერილი მე 37-ში, რომელიც მე გუშინ გავიცანი. ჩემს წერილში არც ავტორის ვინაობა მქონდა მოხსენებული, არც გაზეთის სახელი და მე ძრიელ მიკვირს, რომ ეს ვილაც

ვაჟ-ბატონი „მეობით“ მელაპარაკება და სირაქლემასავით ქვიშაში წაუყვია. მე შემძლიან ამ ბატონს იგივე ვუთხრა, რაც სპილომ ბუზს. ერთის სიტყვით, არ ვიცი ვინ ბრძანდება ესე ამაყად ბრძოლის ველზედ გამოსული ბაღბის ღეროს შეილდისრით ხელში, მაგრამ უსუსურს ლოგიკაზედ, ყაუაზაში ჩასმულს მარტიასებურ ენაზედ და სხვ. კი ცხადად ვტყობა, რომ ვილაც თავ-გასული ბავშვი უნდა იყოს. აწნაირი გაწიწმაცების და ჭკუის დაბნევის მიზეზი მგონია იგივე უნდა იყოს, რამაც ერთხელ გააწიწმაცა მოსკოვში ერთი ჯავახიშვილი, რომელსაც დავით გურამიშვილი ესრე გვიხატავს:

„ჯავახიშვილს გამალექსეს, მოშაირეს ჩემებრ
 კულდა,
 პირად ხმელსა, ულაზათოს, ვით ნუჟიარან კუნ-
 და მრუდსა.
 რაც მე უთხარ, მას მოედვის ვით ნარ-ცეცხლი
 უკან კულდა.
 ზოგჯერ ისრე იმწვიტინის-კოტით ძირს დასცემ-
 დის ქულდა!“

ავტორი იქილამ იწყობს, რომ ჩემს „თეატრის“ თანამშრომლობაზედ ხელის აღებას თავის მკითხველებს არა ჩემ სასარგებლოდ უთარგმნის. მე «თეატრს» თავი დავანებე მას შემდეგ, რაც მისმა რედაქტორმა დროებით სხვას გარდასცა და მასში დაიბუდეს რალაც კოლოებმა და კრაზანებმა. თუ მე ვსტყუოდე, დამისახელონ როდის მიემართე და „თეატრის“ ახალმა გამგებლებმა დაიწუნეს ჩემი ნაწერები? მაღლობა ღმერთს, რომ ჩემი თავდანებება საკეთილო ყოფილა „თეატრისათვის“ რადგანაც მის მკითხველებს „ფუტკარსავით უყრიათ,“ ჩემ შემდეგ. შეიძლება, ზ. ჭიჭინაძე რომ თანამშრომლად მიიწვიონ, მაშინ „თეატრის“ მკითხველიც კიანჭველასავით დაედენენ, მაგრამ, თუ არ შეპოხხავთ, ამის პასუხად აი რას მოგახსენებთ. საპოლიტიკო მეცნიერების (ამისთან მეცნიერებაც განლაგესთ, „თეატრის“ ახალლო ბურჯო!) ერთი ჭეშმარიტება ამბობს: ყველა ხალხი იმ მწერლობის ღირსია, რომელიც მას ჰყავს. ეს ჭეშმარიტება შეიძლება პირდაპირ ლიტერატურაზედ ვადმოვიტანოთ და ასრე ვსთქვათ: ყოველი საზოგადოება იმ ლიტერატორების ღირსია, რომელნიც მას ჰყავს! მერწმუნეთ, რომ ვიქტორ ჭიუგო მიკლუხა— მაკლას ახალ სამელობელოს მცხოვრებთათვის მთლად გაუგებელი და უვარგისი მწერალი იქნებოდა.

Sapienti sat!

ჩემი მეტოქე ლიტერატურულ უსინდისობასაც მწამობს: თურმე ნუ იტყვი, მე მისი სიტყვები განძრან

ენციკლოპედია

გადამიხევეფრებია! ქართველმა ლიტერატორმა, რომ რუსთველი ვერ გაიგოს, ადვილად შესაძლებელია, მაგრამ იმას კი ვერას გზით ვერ მოვიფიქრებდი, თუ ჩვენში იმისთანა „ლიტერატორებიც“ გამოჩნდებოდნენ, რომელთაც თავიანთივე ნაჯღაბნი არ ესმოდეთ. აი რას ბრძანებდა ეს ვაჟ-ბატონი «თეატრის» მე 34 ნომერში: «რუსთველს ვერ გაუძლია დაფარვა და გამოუტანადებია მის გულში მწვევად შერჩეული გრძობა-სიყვარული თამარისადმი,—მაგრამ თითონვე შემეკრთალა, ცდილა სიტყვის გადაკვრას და ამით გაუმართლებია თავი, რომ მე სჯობით მოშაიბეძე: „... და სხვ. სწორედ ესრე არ გარდავეცი რუსულ გაზეთში ეს აზრი? თუ თქვენ, ჩემო «ნაგვემზაზიელო» მარტივად, რუსულში იქამდე სუსტი ბრძანდებით, რომ წაკითხული არ გაგვეგებათ, მარტო თქვენს ჭკუას და ცოდნას რად ენდეთ, რომ ესრე ცხვირი არ წაგვეკრათ?»

რაც შეეხება რუსთველის «ხელობას», ამაზედ აი რას მიპასუხებს ჩვენი ლიტერატურული სირაქლეძე: «თუ ხელობა პირველ სტრიქონში ჭკუილად შემლასნიშნავს, როგორ მოხდა, რომ სწორედ მეორე სტრიქონში ამავე სიტყვას ხმარობს რუსთველი და სწორედ «ჭკუილად შემლის» «მნიშვნელობით?» სწორედ ეგრე გახლავთ, მაგრამ რა მომაკვდინებელი ცოდვა ჩაუდნია რუსთველს ენის, ლოგიკის, ანუ რითმის მუზიკალური კანონების წინააღმდეგი. პირველ სტრიქონში სახელი არსებითია ეს სიტყვა, მეორე სტრიქონში ზმნა და ისრეა შეცვლილი, რომ თქვენისთანა ლიტერატორებს მთლად ჭკუის თაროები გადმოუნგრია. წარჩინებული პოეტები რითმის კეთილხმოვანობისათვის არამც თუ ამისთანას სჩადიან, ენის მტკიცე კანონებსაც კი არღვევენ სოლმე. *Licentia poetica* მათთვის არის მოგონილი და მე და თქვენისთანა მამაკვდაენი მითი ვერ ისარგებლებენ. როგორც იურიდიული კანონების, ისრე კლასიკური მწერლების ასახსნელად (ТОЛКОВАНИЕ) კაცის გონებას მრავალგვარი იარაღი მოუგონია. ვისაც თქვენსავით მარტო ერთი იარაღი უპყრია ხელში და იმასაც ვერ ხმარობს, ის იმ იმერელს მაგონებს, რომელმაც ნალი იპოვა და დაიძახა: ღმერთო, ქვეყანაზედ სარკინეთი ვასწყვიტეო! ღეთის წინაშე, მრცხვენთან ამ საგანზედ ბაასის გაგრძელება და რომ თავი აღარ შეგაწყინოთ, ერთს წინადადებას მიესცემ ჩემს მოწინააღმდეგეს, რომელზედაც უარს ვერ გაჰხედავს. მი-

ემართავ ბბ. ილ. გ—ქეს ჭკუჭკაძეს, აკაკი. რ.—ქეს რუთელს, დ. ი.—ქეს ყიფიანს, კაბ. ბეჟ—ქეს ლომიჭიფიანს და ა.ა. ს.—ქეს გოგებაშვილს ჩემი აზრი რუსთველის საკამათო საგნად მამხდარ სიტყვებზედ გაარჩიონ და თუ სამი მათგანიც იტყვის, რომ რუსთველის სიტყვები ჩემს მოწინააღმდეგეთ ჩემზედ უკეთესად ესმისთ,—საჭკუენოდ პირთბასა ვსდებ: ჩემს სიტყვებში არც რუსულს და არც ქართულ მწერლობაში აღარ გავკვირია!

«თეატრის» რაინდი სწორედ რაინდულად იტყევა და ჩემი მთლად განადგურება არ მოუწადინია. ის მირჩევს რომელსამე გამოცდილ ლიტერატორს მივმართო, იმის მოცემულს რამდენიმე კითხვაზედ პასუხი დავაწერინო და დილით უკომოზედ ვიზებროო ხოლმე. ავასრულე თქვენი რჩევა.

თქვენი კითხვები:

1) «რას ჰქვიან ლიტერატურული კეთილ-სინიდი-სიანობა?»

ა) პასუხი: იმას, რაც თქვენთვის ყოველთვის «ორმოზნელი» ყოფილა და სამუდამოდ ბნელად დარჩება.

2) «როდესაც მთვარე შეიშლება და ავადმყოფს ბოდვის სიყვარული (ღაზათ ამისთანა ქართულს!) მოსდის, უნდა ილიტერატორს, თუ საშინაო ხალათი ჩაიცვას და თავზედ ცივი წყალი ისხას?»

ბ) პასუხი: უეჭველად თავზედ ცივი წყალი უნდა ისხას. მაგრამ რადგანაც მთვარის შემლა ორ დღეს მეტს არ გასტანს იმას მარტო თვეში ორ დღეს მოუხდება კალამზედ ხელის ალება. მაშ იმან როდის-ღა უნდა ილიტერატორს, ვინც ყოველთვის თავზედ წყალ სახსმელია და ორმოც წელიწადს მიტანებული ბავშვად ითვლება საზოგადოებაში?

3) «როდესაც კაცმა ნამდვილად არ იცის საგანი, უნდა მორიდებით წარმოუსთქვას თავისი აზრი მასზედ და ეჭვიც არ დამალოს, თუ თამამად წამაიძახოს, ჩემი აზრი ეს და ეს არის და ყველანი დამეთანხმენითო; ერთის სიტყვით, შესაფერის სიფრთხილით უნდა ილაპარაკოს, თუ აღამიანის სახე ედოს და ვითა ჯორი უცილობლობდეს კი?» (?!). (კოდელიო ნინო, «შენ გაიგე! (აფსუსს, რომ თქვენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარე არა ბრძანდებით, რადგანაც ასე მშვენიერად გცოდნიათ კითხვების დადგენა! მაგრამ მაინც მოგახსენებთ პასუხს.)

გ) პასუხი: ჩემი არ გითხრა, გული რით დაგწვია!

დავით სოსლანი.

83-453-460 იბ. ნ. 28. 23 5

რუსული თეატრი

რუსულ ოპერებზე ხალხი ძრიელ ცოტა დაიარება. თუმცა წარმოდგენის მართვა ჯეროვნად არის დაყენებული. საუცხოვოდ თამაშობენ ტანჭკიუკეს კნანის, დემონს, მაგრამ ხალხი თეატრს მაინც არ წყალობს და არ დაიარება...

პასუხის მაგიერ ბ-ნი დავით სოსლანის წერილზე.

1) რადგან თქვენ, ბ-ნი დავით სოსლან გუთხარებთ (?) გამოაშკარავოთ ქართულ მწერლობის სუფილბა (!) რუსულ მწერლობაში და მკითხველ საზოგადოებაში.

2) რადგან ქართულ გაზეთა შორის „ივერიამ“ არ დაჰბეჭდა თქვენი წერილი, იშვიათი ნიმუში ზრდილობანი და ლიტერატურული პოლემიკისა და

3) რადგან ჩვენ ჩვეულებად და ზნეობად გვაქვს ყოველს მეტოქეს, თუნდაც თავხედს, ის იარაღი მივსცეთ ხელში, რომელსაც ჩვენ თვითონვე ვხმარობთ, ამიტომ და მხოლოდ ამიტომ ადგილს ვაძლევთ თქვენს კალმის ნაყოფს, შეზავებულს ქალაჩურ ღრეკობით, და ამასთანავე—თქვენ და სამწრხაროთ—პასუხს არ ვაძლევთ იმის იმედით, რომ ამ გვარი წერილი პირველი და უკანასკნელი იქნება ჩვენს გაზეთში.

ხალხური ლექსი.

სანთლის გუთანს ავაშენებ, შიგ შავაბამ უღელ დეკსა, ფლავში კხნამ და ზღვაში კეთსაჲ, ქმშალად ვინადირებ თუესა,
აქლემს ბარ-საკეთს აკვიდებ, უკან გაყაფლებ მეგლსა, ყინულზედ კალს გავლენაჲ, მშრალად ვადავრდი ბესსა, ჭინჭველას გოდორს აკვიდებ, კამეჩებს დაუფრად ბესსა...

მოკინებდე ზღვისა პირსა სამი კაცი მოდიოდა, სამივე ისინდნენ ცხენებსუად, რომ მოვიდნენ ზღვისა პირსა, სამივე ერთათ ჩამოსტდნენ, ზღვაში ბადე გადაუდგეს, სამი თუესი გამოჭევეს, გამოშინგეს ის თუესი, სუნელებით შეამკეს, მოიტანეს იმ წამს ტაფა, ფიცხლავ ცეცხლზედ შამოდგეს, მოხარშეს რომ დაუთავეს, სტაცეს ხელი გადმოდგეს.

კეზირმა თქა:სოლომ ბრძენო შენ გამზარდე შენი იროთიჲ და მასწარ ამას დღეს;

კეზირმა შირში შეგაფურთხებ, გავისტუმრებ ცარიელსა; თუ ეს სიტყვა მართალია ჩემი თუესი გაცოცხლდეს, გაცოცხლდა და ზღვას ეძგერა, ორი ისეუ ტაფას რჩეს.—

რიგით მოსჭდეეს სამართალი, ახლა დედოფელსა ჭხედეს, შიშითა და სირცხვილითა დედოფალი შესუსტდეს; გულზედ უსძენ ვარდის წყალსა, აფიცებენ მამის მესეს.

— ჩემო ძმანო ხელთა გუგავრთ, თავი მომჭერთ გადაგდეთ, ჯახასხანა გადამხდება, ხუთმეტი წელიწადია ვუვარობ გუნწულ სემწიფეს, ხელთ უჭირავს ოქროს ტახტი, დამეს ანათებად ბნელს; თუ ეს სიტყვა მართალია ჩემი თუესი გაცოცხლდეს, გაცოცხლდა და ზღვას ეძგერა, ერთი ისეუ ტაფას რჩეს.— რიგით მოსდეს სამართალი, ახლა სოლომ ბრძენსა ჭხედეს,

სოლომ ბრძენი სიტყვას მოჭევა ერთ ჩუენით სანატრელსა: — ერთი სხილენძის კოკა მჭეეს, მიხარია მეამხლეს, დავიბარებ გუნწულსა...

თავის საყმთ თან ჩაჭევეს, სავუარელი განს დარჩეს; თუ ეს სიტყვა მართალია ჩემი თუესი გაცოცხლდეს, გაცოცხლდა და ზღვას ეძგერება, ცარიელი ტაფა რჩეს.

დახატიუა გუნწულელისა, ახსდითა თორმეტ ქვევრსა, გუნწულელი სიტყვას გატყუა ერთ შენით სანატრელს, ერთი სხილენძის კოკა მჭონდა, მიხარია მეამხლეს, თუ იმას საყმთ ამისეუ, სავუარელი შენ დაგჩხეს.— მიდგა მოდგა გუნწულელი, (მარშუბს აღარ იკითხავს)...

— ჩემო ყმანო სულ აქ მოდით, კოჭლი და ბრმა არ დარჩეს;

შვიდი დღე-ღამე იდინა, აკენად ყმაწილ არ დარჩა, კეზირმა ბარაქა ვინ მისცა, კოკას ყელში დააგლდა.

— გუნწულელი შიგ ჩაბძინდი, სავუარელი თან ჩაგვევს; ჩაიტყუეს გუნწულელი, ყელს ზარფულში დაარჭვეს, მოიტანეს ბურბუშები, ოთხსაჲ გუთსიჲ დაჭედეს... აიღეს და ზღვას მისცეს....

ათას ხუთას წელიწადსა ავი მანე არ განდეს, აკენის ყმაწილს დაეძინოს, გულში ფიჭვი არ ჩაჭევეს; მალამბ ღმერთმა დასწეველოს მეთევე და მეზადეც ზღვაში ბადე გადაგდეს, კოკას ყელში გამოსდეს, გაჭწიეს და გამოწიეს, ნაპირსა გამოგდეს; ერთმანეთს ეუბნეიან:...

— მალამბ ღმერთა დასწეველოს, ვინც რომ უფსრას ჩვენს, რაც ამასი ქნებაა შეიღეს ყუოფა, შეიღის-შეიღის...

ამოცვივდნენ ის უშხანი: ზოგი ტყესა, ზოგი დრესა, ზოგი წისქვილს შეტვივდნენ, ვინც წისქვილში ქურდობა ქქნას, მისი სული მათ დაჩხეს.

(შეკრებული ლ. დოლოჯიხისაგან.)

ბედ-კრული.

(თარგმანი.)

ამას წინეთ ე-ს მომიხდა წასვლა, მზე ჩასვლაზე იყო. როდესაც კ—ის სტანციაში მივედი.

— აბა, ბარგი სხვა ტროიკაზე გადააწყვევდა ცხენები შეაბი, უთხარი ერთს იამშიჩის.

— ჯერ ბატონო, მატრიტელს ჰკითხეთ—ჰყავს კი ცხენები? ბიჭო, ნიკოლაე, ემანდ მატრიტელი იქ ნება სადმე და დაუმახსნა!

გამოვიდა „მატრიტელი“ და ჩვეულებრივს სიტყვებით მოამართა: „ცხენები არ ვახლავსთო.“ თუმცა მინდოდა შემდეგ სტანციამდის მაინც მიმეღწევა, მაგრამ რაკი ზედა მხედველმა გამომიცხადა, ღამის თორმეტ საათამდინ ტროიკას ვერ შეგვიბამო—მეც გადავსწყვიტე იმ ღამეს იქ დარჩომა. სტაროსტასა ესთხოვე სამოვარი დაეღვა და მე მის მოლოდინში ბალკონზე გამოვიტანე სკამი და დავეჯექი.

სტანცია კ. სოფლის ბოლოს იყო აშენებული. სოფელსა და სტანციას შუა ვერს ნახევარი იქნებოდა. მალოობზედ მდგომი სოფელი მედიდურად გადმოსტკერო და პაწია სტანციის შენობას სტანციის გარშემო ყანები ბიბინებდენ. ზოგი უკვე გაჟჭრათ, ზოგს მკიდნენ. სწორეთ სასიამოვნო იყო იმ თავ-გამოდებული მხნე მუშაობის ტკერა, კიჟინასა და „ჰოპუნას“ სამხლვარ არა ჰქონდა. აგერ, მეთაურმა თავის სამწყსოს რალაცა გასძახა.—ყველანი მოგროდნენ, აი-შაბაშეს. თხუთმეტ წამსაც აღარ გაუვლია, რომ სტანციის გვერდზედ „ცანგალასა და „ორპირულის“, სიმღერით ამოიარეს ოციოდე მუშამ მეთაურის წინამძღომლობით. ეს მეთაური, თავ-თავისგან შეკრულის ჯვარით ხელში, სწორეთ შუა საუკუნოების გმირსა ჰგვანდა. მე მათ თვალი გავადევნე, ძალა უნებურად ჩემი აზრი მათ შეიპყრეს: დიდს ხანსა ეფიქრობდი ამ ხალხის მიძიმეხვედრზე, ვაი-ვაგლახზე და უგემურს, მაგრამ პატიოსანი შრომით მოპოებულს ლუკმაზედ.

ამ ფიქრებით გართულს, შორიდან რალაც ჩხარა-ჩხურის ხმა შემომესმა მე ფეხზედ წამოვარდი, დავიწყე აქეთ-იქით ტკერა და ბოლოს დავრწმუნდი,

რომ ჩემი სმენა არ მაცდენდა: თორმეტოდე ტყეში, ჯაჭვებით ხელი-ხელს გადაბმული მიძიმეთ მოახხარუნებდნენ ნახევარ ფუთიანს ბორკილებს. მოახლოვდნენ. აქ შეჩვენდობლით შეუნანებელ კაცის მკვლელსაც, გარყენილის საზოგადოების შედეგს, რომლის სახე რალაც გაუგებარის სიმხნევით გამოჰფეთქდა და და უხასიათობის მსხვერპლთაც. მართალია დამნაშავეთ, მაგრამ მით უფრო საცოდაეთ, რომ ეს უკანასკნელნი ჰხედდნენ დანაშაულად ჰგრობდნენ და ღროვით მაინც დაეხსნათ თავიანთი მედგარი სხეულისიკვდილის, შერცხვენისა და უპატიოსნებისაგან. წყალ წალღბული ხავსს ეჭიდებოდაო. დალილილ-დაქანცული, მათ დასტამბოს ფერი-სახე სრულიად მოჰშეებოდათ. გარდა სამი-ოთხისა სხვანი ჩუმათ იყვნენ და მხოლოდ გულსაკლავადა გმინავდნენ. ვინ იცის საცოდაეები რაზედა ჰფიქრობდნენ?...

მათში ერთი ახალ-გაზდა მაღალ-მაღალი ქალიც. მის გამხდარ ნაღვლიანს სახეს, სულით და სხეულით წამულს, მაინც კიდევ არ დაეკარგა ის ღეთაებრივი ძალა, რომელსაც სილამაზეს და მიმზიდველობას ეძახიან. მისი შავი მრეტყველი თვალები ერთობ ტანჯულად შემომტკეროდნენ. მის ჩამომხმარს, მაგრამ ეშხიანს სახეზე ამოკითხავდით განუსაზღვრელს ბოლმას, რომელიც მას, როგორც ეტყობოდა ღრწინიდა. პირველის შეხედვით ამ პატიმარის ქალის ვერაინაც ვერ წარმოიდგენდა, რომ ამ მშვიდს ქმნილებას შეეძლო მიძიმე დანაშაულის მოხდენა. მე მეტისმეშად მინდოდა გამეგო ამ ქალის ვინაობა დანაშაული და ამისათვის გაეყვი მათ უკან. ტუსალები იქავ, სტანციის ახლო, ერთ სართულიან ეტაპის შენობაში დაბინავეს: კაცები ცალკე შერყეს, ქალს კი მეორე ოთახზე მიუთითეს პატიმართ მცველის უფროსმა ჩემს თხოვნაზე, ნება მოეცა ამ ქალთან საუბრისა, მოწყალებით გადმოჰხვდა: მე შემეძლო იმასთან ლაპარაკი.

ცოტა რო დაისვენა მე გამოველაპარაკე ამ ქალს და ბოლოსა ესთხოვე თავისი თავ-გარდასავალი ეამბნო. ტუსაღმა ნაღვლიანად შემომხვდა, თვალებში ტრემლი მოუგუბდა, გულმა აჩქარებით დაუწყო ძგერა. უნდოდა რალაც ეთქვა და მღელვარებისაგან ვერ ახერხებდა. ბოლოს როგორც იყო, შეიკავა მწყუხარება და მითხრა:

— გიამბოთ, არ გიამბოთ-რა გამოვა?—მხოლოდ დაკოდილს გულს უფრო დავიკოდ, მაგრამ ქრილობაზედ—მერე!.. მე დავიბადე ქ. მ-ში ერთი შეძლე-

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

თ ე ა ტ რ ი ს კ ვ ი რ ა

ბული ვაჭრის სახლში; უმეტესი ნაწილი ჩემის ნათესაობისა აგრეთვე შეძლებული იყო. პაპას, ბებიას, დედ-მამას, ბიძებს—ყველას გაგიჟებით ვუყვარდი: სულ იმის ფიქრში იყენენ რითი და როგორ ესიამოვნებინათ ჩემთვის. ბებია ჩემი ხო—მთელი დღე თავს მევლებოდა. ყველანი ჩემი ტანთ-საცმელის არ. ჩვეანში იყენენ, ტიკინივით მრთავენ, მათამაშებდნენ. ერთის სიტყვით ჩემს სიტყვას დედამიწაზედ არ დაუშვებდნენ და ყოველივე ჩემს სურვილს მაშინათვე ასრულებდნენ. სამაგიეროდ-კოხტათ ჩაცმისა და გველუტობის მეტი მე არა მეთხოვებოდა-რა. კითხვითაც ბერს არასა ვკითხულობდი, თუ ხელს მოეკიდებდი ისიც რომანს. შრომით ხომ-რა საჭირო იყო ჩემთვის შრომა, როდესაც პირად ჩემს ჩასაცმელ და სასურად მოახლე მყვანდა მოჩენილი.

პაპა ჩემი, მამა ჩემის მამა, თავისთვის ძლიერ კარგათ იყო. სამი დეუქანი, საკუთარი სახლი, ცხვარი ძროხა—მეტი რაღა უნდოდა, მამის ჩემის გარდა პაპას ხუთი შეილიც სხვა ჰყვანდა, მაგრამ მაინც ყველანი ერთად იყენენ, ერთ ოჯახანდა სცხოვრობდნენ, ბიძებში მე ყველაზედ უმცროსი ბიძა მიყვარდა, სახელად მიშა. მიშა მართალია სხვებსავე არ მანებებდა და თხოვნასაც იშვიათად მისრულებდა, მაგრამ მე მაინც ვგრძობდი. თუ არ მეტად—სხვაზე ნაკლებ იმას რომ არ ვუყვარდი, ოჰ, ღმერთო! მე რომ იმისათვის დამეჯერებინა, იმისი დარიგება მტკიცედ დამემაჩნა გულში ეხლა ხომ არც აქლა ვიქნებოდი, აქ ამ განდევნილის და შეჩვენებულს ხალხში!.. საცოდავი გაჩუმდა, ნალელიანად ჩაჰკიდა თავი და ფიქრებს მიეცა...

— როგორც გამჩნევთ, თქვენ მეტად გამძიმებთ წარსულის მოგონება, ვუთხარი მე.

— გამძიმებთ?!.. დიახ, მიძიმს, ისე მიძიმს წარმოსადგენათაც კი შეუძლებელია მისგან გამოწვეული ტანჯვის მზგავსი სხვა სასჯელი. მაგრამ რაც იყო იყო, წარსულის გარდაკეთება და დაბრუნება შეუძლებელია! ესა სთქვა და ისეთი ნალელიანად ამოიოხრა, გვეგონებოდათ გული თან ამოჰყვა. რამდენიმე წამს დადუმდა, ბოლოს აიღო თავი მაღლა და განაგრძო თავის ნალელით სავეს მოთხრობა.

(გაგრძელდება.)

ქანასი.

* * * ერთ სოფელს აღდგომა ჰქვია თელავის უეზღში. ერთმა კაცმა სთხოვა მეორეს ცხენი აღდგომამდი მათხოვეო. მიირთვით, უთხრა მეორემ: აღდგომამდი ცხენს როგორ დაგიჭერო!

ეს იყო იანვარში. წაიყვანა ამ კაცმა ცხენი და დიდმარხვის მეზუთე კვირაში დაუბრუნა პატრონს მადლობის თქმით. რა მიყავ, კაცო, ესა! განა გაჩუქე რომ ამდენი ხანი ხედნიდიო! უსაყვედურა გაჯაერებით ცხენის პატრონმა. რათა, ძმაო! შენ აღდგომამდი მათხოვე ცხენი და ჯერ სად არის აღდგომა, კიდევ რამდენიმე დღე აკლიაო, მე მეგონა, აღრე მიუყვან, კვლავაც მათხოვებს მეთქი და შენ მიჯაერდებიო?

* * * .. მიდიოდა ერთხელ დილა აღრიანად საღვთის სასესხებლად. წინ ბანქოს ნათამაშები ი..ა შამოხვდა—დეტაკა გულზედ და თვალეში ჩაშტერდა.

შემკრთალმა ა..იმ შესძახა:
— ხომ არ გაგიჟებულხარ კაცო! რას მამშტერებინარო?

— ოჰ! შე დალოცვილო პიკის ტუზი მეგონეო. — უთხრა ი..ამ.

* * * ერთხელ ზამთარში იმერელს ესტუმრა შორეული მეგობარი ე. იმერელი შეძლების გვარად გაუმასპინძლა შორეულს სტუმარს. რა თქმა უნდა, სადილათ სხვათა—შორის ჩამოარიგეს ღომი.—შორეულმა როგორც უჩვევმა, უცბათ წაატანა ხელი ცხელს ღომს დი ერთი ზორბა ლუკმა მოსტენა. ღომმა ხელი დასწვა; სიჩქარით პირში ჩაიგდო, პირს უარესი დამართა მოზღლილი ღომის ლუკმამ; გადაყლაპა თუ არა—ხანა მთლად ჩაუთუთქა, თითქმის მუცელსაც მოედო. ამ დროს სტუმარმა ნაბადი გადიძრო და შორს გადაადგო (სიცივისა გამო ნაბადში იჯდა).

— რას შერებთ? ჰკითხა მასპინძელმა, ხომ შეგცივდებათ?

— რა ექნა, ძმაო? მე კი დამწვა ამ ღომმა და მეშინია ოც-და-ხუთ მანეთიანი ნაბადიც არ დამიწვასო!.. წაილულლულა პირ-გამოთუთქულმა სტუმარმა.

საღმრთო თქმულებანი.

ერთხელ წყალ-დიდობას მოხსიელები ჩამოვიდნენ მტკვარზედ სათევზაოდ, დაინახეს აღელვებულს წყალში მომავალი ტივი და გაქანებული მაშინა წყლის მეორე ნაპირას. მაშინა სტანციას უახლოედება და დაშტვენას აპირებდა. ფაცხა-ფუცხით დაოდაგდეს ბადე და შეჰყვიერეს მეტივეს: «კაცო, დააყე ტივი, პარახოტმა არ დაგებრიყეოსო!»

ერთხელ მოხსიელებმა სადღაც ღუქანში დამყავებული ჭარხალი სჭამეს და ძალიან მოეწონათ. რომ ჩაიკმატურეს პირი მეღუქნეს დაეკითხნენ: «ძმობილო, რაში ამყავებო ამ ჭარხალსაო». მეღუქნე მიხვდა იმათ ხეპრეობას და სიცილით უთხრა: «კაცო, და ეგ როგორ არ იცი? დამღგარი ტბა და მაგის ჯანიო! მაგაზედ აღვილი რაღაო», იკისრეს მოხსიელებმა და ფრონეს ტბა ამოამსეს ჭარხლითა ერთი კვირის შემდეგ შოვიდნენ თავის ნაწილის სანახევად და ერთი უფრო გამოცდილი კაცი შეგზავნეს ტბაში, რომ ენახა დამყავდა ჭარხალი, თუ არა. საბრალო იხრჩობოდა და ხელებს აფანცხლებდამოხსიელებს ეგონათ გვიძახისო და გადაეშენენ ტბაში ყველანი.

მოხსიელები ბატონმა სამკლად გაგზავნა. მზე რომ გადინარა ბიჭების ხელით ბატონმა დამპალი შავი ყურძენი გაუგზავნა. ყურძენს ბოსტანა ჭია დაჰხვეოდი, და ფუთ-ფუთი გაჰქონდა. წამოყარეს მოხსიელებმა ყურძენი და ერთ-მანეთს ეუბნებოდნენ «ფეხიანი, ბიჭო, თორემ უფენო სად წაგვივია!».

«თეატრის» ფოსტა.

ქუთაისში ბ-ნს მასწავლებელს. თქვენი წერილი მივიღეთ და დიდათ გმადლობთ თანაგრძნობისათვის. გარწმუნებთ, რომ ანეტიცვლილებით არავითარი განსხვავება არ დაუტეობა გასოს. მაგაში თქვენ თვითონ მალე დარწმუნდებით. ბ-ნს ჯგუთელს თქვენ წერილი ნაწილ-ნაწილად დაიბეჭდება.

ბ-ნს კ. თეკლათელს. თქვენი წერილი დაბეჭდილი იქნება.

ბ-ნს ქაინოსრო გელაკანს. თქვენი ლექსი დაიბეჭდება, თუ მიზეზი არ მოგვეცა...

ოზურგეთში—ბ-ს—ჟ—ს. თქვენი წერილები მივიღეთ, დიდათ გმადლობთ. თავის დროზე დაიბეჭდებიან.

ძ. სენაკში ბ-ნს ლ. ფრიდლანდს. გმადლობთ წერილისათვის, ხოლო შემდეგისათვის გთხოვთ, რომ ცოტა ზომას შეუძღვირეთ ფელტონებს, რადგან ადგილი მეტად ძვირობს ჩვენს გაზეთში. თქვენი პირველი ფელტონი დაიბეჭდება შესწორებით.

ქვემოტალში ბ-ნს ნიკო ლ—ძეს. თქვენი წერილი მივიღეთ. თავის დროზე დაბეჭდილი იქნება. მეგობრული რჩევა: ნუ ჩქარობთ, ამით სულელების მეტს ვერავის გააკვირვებთ.

სოფ. ბასეში (გურიაში) ნ—იას ქ—ძეს რედაქცია ამ შემთხვევაში პირ-მართალი განლაგეთ, მაგრამ ჩვენ მიხედვით გასრულებთ თქვენს თხოვნას.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. აბაშიძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

იბეჭდება და სექტემბრის შიშველს რიცხვებში გამოვა.—

„ქართული წერის დედანი“

ვ. გაბიჩაძისა.

(გამოცემა ი. მურადოვისა)

წერის დედანს შეადგენს: 1 მსხვილი გადაუბეჭდილი ხელი ბადეში თავის ელემენტებით; 2 დახატვანული საშუალო მგრგვადი ხელი უბადეოდ ოთხს ხაზში; 3, გადაბეჭდილი სწორედ (აღმაცურად) ნაწერი ხუსხური ხელი სამს ხაზში და 4 გადახრილი (наклонный) გაკრული ხუსხური ხელი ბადეში—ჟერ გადაუბეჭდად და შემდეგ სამს ხაზში გადაბეჭდილი. —დედანს აქვს სულ 24 გვერდი. დედანის ფასი—30 კაპ. გინც ოცდაათს ანუ მეტს იყიდის ეგ-ზემს. დაეთობა 24 კაპ. (3—3)